დადგენილება:**დ-81. 81230957**
თარიღი:**05/04/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13

„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის № 1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/01/2023წ. სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.116.016566) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1.დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დახმარება განისაზღვროს ორ ეტაპად: სასწავლებელში ჩარიცხვის დროს შვიდ თვემდე სწავლის კურსის შემთხვევაში **300**-ლარის ოდენობით, ხოლო დამთავრების შემდეგ-**700** ლარის ოდენობით; შვიდ თვეზე მეტი სწავლის შემთხვევაში ჩარიცხვისას მიიღებს **300** ლარს, ხოლო დამთავრებისას **1700** ლარს“.

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის 22-ე მუხლის შემდეგ დაემატოს 22^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 22^1.

საწოლს მიჯაჭვული (მძიმე ავადმყოფთა) დამხმარე საშუალებების უზრუნველყოფის პროგრამა.

1.საწოლს მიჯაჭვულ (მძიმე ავადმყოფთა) დამხმარე საშუალებების (ნაწოლების საწინააღმდეგო ლეიბი და ჟანგბადის აპარატი) გადაცემის სარგებლობა შეუძლია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეს, რომელიც მინიჭებული აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი.

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. N65, ტელ: +995 551179741
ელ.ფოსტა: tsagerissakrebulo@gmail.com

2. მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე.

ბ) პირადობის მოწმობის ასლი.

გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა N 100.

დ) ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ინფორმაცია ოჯახის შემადგენლობისა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. სავარძელ - ეტლი და ჟანგბადის აპარატი გადაეცემათ ხელშეკრულებით.''

3. დადგენილებით დამტკიცებული წესის 23-ე მუხლის მე-11 -პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. მუხლი - 6,7,9,10,11,12,13,14,15,16,17,19, 20-ით მოსარგებლე ბენეფიციარებზე დახმარება გაიცეს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათით.''.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

რეზო ხეცურიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი